საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/19 2.03. 2021 წ.

MES 4 21 0000179577

01/03/2021

# სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წლის 1 მარტიდან სასწავლო პროცესის აღდგენა-განხორციელების შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის № 159323 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესის განხოციელების შესახებ“

**ვბრძანებ:**

1. 2021 წლის 1 მარტიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული/სემინარული/ ლაბორატორიული/კლინიკური/საგამოცდო სწავლების კომპონენტები წარიმართოს არადისტანციურ რეჟიმში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოწმების საფუძველზე შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით.
2. პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი უფლებამოსილია 2021 წლის 1 მარტიდან პროფესიული მოდულების თეორიული კომპონენტები წარმართოს დისტანციურ რეჟიმში ონლაინ პლათფორმაზე (Microsoft Teams) პროფესიული სწავლების სპეციფიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
3. შერეული (არადისტანციური/დისტანციური) სასწავლო პროცესის შემთხვევაში ყოველკვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მოხდეს ინდივიდუალური დროებითი ცხრილების ფორმირება.
4. 2021 წლის 15 მარტიდან პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამების სხვა კომპონენტები წარმართონ არადისტანციურ/დისტანციურ რეჟიმში პროფესიული სწავლების და შედეგების

დადასტურების სპეციფიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოწმების საფუძველზე შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით.

5. ბრძანება ძალაშია 2021 წლის 1 მარტიდან.
6. უნივერსიტეტის კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრზე და განთავსება უნივერსიტეტის ყველა კორპუსში თვალსაჩინო ადგილზე.
7. მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შ. კირთაძემ.

**საფუძველი:** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვალის № 153323 ბრძანება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი
როლანდ კოპალიანი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი /
სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
ბასილაძე იმერი

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი
ხელმძღვანელი
სვანაძე სერგო